სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 5 23 0001142737

13/09/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლისათვის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო გრაფიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბერის ბრძანება №111/ნ -ის ,,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე'' მე-5 მუხლის, უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 1 სექტემბრის N1064131, 2023 წლის 12 სექტემბრის N1128079 ბრძანებებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სალომე თათულიშვილის სამსახურებრივი ბარათის (13/09/2023წ; N1141136) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანალებლო პროგრამაზე 2023-2024 სასწავლო წლისთვის დამტკიცდეს შემდეგი სასწავლო გრაფიკი:

ა) პირველი სემესტრი დაიწყოს 2023 წლის 09 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 23 თებერვალს;
ბ) პირველი სემესტრის სესიები დაიწყოს 2024 წლის 22 იანვარს და დასრულდეს 2024 წლის 03 თებერვალს;
გ) დამატებითი გამოცდები დაიწყოს 2024 წლის 02 თებერვლიდან 2024 წლის 13 თებერვლის ჩათვლით;

დ) ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2024 წლის 26 თებერვლიდან და დასრულდეს 2024 წლის 10 მარტს;

ე) მეორე სემესტრი დაიწყოს 2024 წლის 11 მარტს და დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს;

ვ) მეორე სემესტრის სესიები დაიწყოს 2024 წლის 24 ივნისს და დასრულდეს 2024 წლის 05 ივლისს;

ზ) დამატებითი გამოცდები დაიწყოს 2024 წლის 04 ივლისიდან და დასრულდეს 2024 წლის 18 ივლისს;

2. 2023-2024 სასწავლო წელი დასრულდეს 2024 წლის 25 ივლისს;

3. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს;

5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

6. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს (ი. შიოშვილი);

7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;

8. ბრძანება ძალაშია ხელმწერისთანავე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა